

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ დოკუმენტთა ჩამონათვალი

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა სტრუქტურა და ფუნქციები (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა);
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს (საკრებულოს თავმჯდომარის) მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები;
- გ) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის მოხელეების შესახებ: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა);
- დ) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, კომისიების, ფრაქციების, საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შემადგენლობის, ინტერფრაქციული ჯგუფის, საკრებულოს ფრაქციის გარეთ დარჩენილი საკრებულოს წევრების შესახებ (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა);
- ე) მუნიციპალიტეტის მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა);
- ვ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის მოხელეთა სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი და სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა);
- ზ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა);
- თ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა);
- ი) ინფორმაცია საკრებულოს აპარატში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, მათ შორის, საჯარო მოსამსახურის სახეების მიხედვით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში: სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა სტრუქტურული ერთეულის მითითებით (განახლება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);
- კ) ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ (განახლება კონკურსის გამოცხადებისთანავე);
- ლ) სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესს (განახლება ცვლილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა);
- მ) მუნიციპალიტეტში შემოსული განცხადებების (მათ შორის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 37-ე მუხლის შესაბამისად შემოსული განცხადებების) და მათზე

გაცემული პასუხების შესახებ ზოგადი სტატისტიკა (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ნ) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, აპარატის თანამშრომლებისათვის მიცემული თანამდებობრივი სარგოების, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ო) მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი, ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ (ნაზარდი ჯამით) (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

პ) ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობის შესახებ, აქტის სახეების მიხედვით (ქვეყნდება ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა).